

# საქართველო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 143 (1318)    კვირა, 20 ნოემბერი, 1958 წ.    გამოცემის მე-15 წელი    ფასი 30 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულ კულტურისა და სპორტის მინისტრისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორბანო

გეორგი

26 ნოემბერს მოქალაქეებისთვის სასახლის ტერიტორიაზე გახურებული იქნა ახალი გუნდის ფედერალური რესპუბლიკის მოკრევეთა ნაკრები გუნდი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის მეორე ნაკრებს.

პირველად რინგზე გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონი მ. პომპერგი და 20 წლის საბჭოთა მოკრევე მ. მუხა. ეს უკანასკნელი არ შეუშინდა კონტინენტის ჩემპიონის იერიშებს და შეუპოვრად უტეგდა მას. შეხვედრა მცირე უპირატესობით მოიგო გერმანელმა ანგარიში მომდევნო შეხვედრაში გათანაბრდა, როცა ე. ჩობანმა (სსრ კავშირი) დაამარცხა კ. ეიკელმანი. შემდგომ ა. ზასუნინმა მოუგო მ. პანერს, მაგრამ ანგარიში კვლავ ფრე ვახდა — მ. პერბერმა დაამარცხა მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ა. ლაგეტკო.

პირველ ქვესაშუალო წონაში საბჭოთა სპორტსმენმა ა. ტუმინმა დიდ ხანს ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება გ. დიტერთან და მხოლოდ მეორე რაუნდის ბოლოს გასტეხა მეტოქის წინააღმდეგობა და გაიმარჯვა. სულ ერთი რაუნდი გაგრძელდა გ. ბოიარშინოვისა და მ. კოსის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა საბჭოთა მოკრევემ უ. კინსტამ დაამარცხა აშერბაიჯანის ჩემპიონი ვ. გასო, ა. კორომილოვმა — ე. კულოსი, ლ. სენკინმა — დ. პლიშკა. მძიმე წონის მოკრევეთა ი. კონსტანტინისა და ბ. რეინგოლის შეხვედრა მოიგო პირველმა.

გერმანელ და საბჭოთა მოკრევეთა მეორე მატჩი დამთავრდა ჩვენი გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 7:3.



ხარკოვი. ჩვენი სტეკო-რესპონდენტისაგან. მეხუთე ტურში მაყურებელთა საერთო ყურადღების ცენტრში იყო ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა კეველ ლ. იაკობთან. დამსწრენი იწერდნენ სკლებს, არჩევენ ძველი-დღური დაცვის ყველა ვარიანტს, რომელიც გაფრინდაშვილმა გაითამაშა. მან გახსნა შავი კუს დიაგონალი და ლაზიერის ფრთაზე თანდათან გააძლიერა პოზიცია, თავის დაღწევის მიზნით იაკობი იძულებული იყო ორ პაიკში დაეთმო მხედარი, მაგრამ მალე იგი მაინც უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული შეიქნა დანებებულიყო.

რუბროვამ, რომელიც ჩაიკოვსკაის შეხვედა, კარგად გაითამაშა ნიშკოვიჩის დაცვა, პაიკის გაბე-

დული წინსვლით გაარღვია მოწინააღმდეგის მეფის საფარი და 24-ე სვლაზე შოიპოვა გამარჯვება.

წარუმატებლად დაიწყო თამაში ოდესეულმა ნისენბოიმა კუშნირის წინააღმდეგ და დამარცხდა, რის შემდეგ ტურნირის ლიდერი გახდა გაფრინდაშვილი.

ამ დღეს ბიკოვამ მალე გატეხა სტრანდსტრემის წინააღმდეგობა და გაიმარჯვა, რითაც საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ზვორიკინამ დაამარცხა გოიპენბერგი, ხოლო

## ხარკოვი, XX ჩემპიონატი

იენტიევამ სძლია ტიხომიროვას. ე. კაკაბაძემ დასაწყისში პაიკი მოუგო ფილანოვსკაიას, მაგრამ შემდეგ ცენტრში ცუდად ითამაშა, დაკარგა უპირატესობა და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მალინოვ-გოლბერტის შეხვედრა.

მ. ტოგონიძემ არასწორად გაითამაშა ახალინდური ვარიანტი ბორისენკოსთან, დაკარგა როქის უფლება, მოექცა მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშის ქვეშ და დანებდა.

გადაღებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც 27 ნოემბერს შედგა, გარკვეულბა შეიტანა სატურნირო ცხრილში. ბიკოვამ მოუგო ფილანოვსკაიას, სტრანდსტრემს გადაღებული ჰქონდა ორი პარტია და ორივეში ყაიმზე შეუთანხმდა გოიპენბერგსა და კუშნირს. ყაიმით დამთავრდა ზატულოვსკაია-გურფინკელის შეხვედრა.

ხუთი ტურის შემდეგ გაფრინდაშვილსა და ბიკოვას აქვთ 4,5 ქულა თვითულს.

გუშინ შედგა მეექვსე ტური.

სურათზე: კაკაბაძე-ტიხომიროვასა და გაფრინდაშვილ-ზატულოვსკაიას შეხვედრები.

## საიუბილეო ჯილდოვა

გრძელდება რესპუბლიკური შეჯიბრება ფეხბურთში საიუბილეო ჯილდოზე.

თბილისის „დინამოსა“ და აჭარის ნაკრები გუნდების შეხვედრაში კარგა ხანს არ იგრძნობოდა ოსტატთა უპირატესობა. მეტიც მე-10 წუთზე ბათუმელთა მარჯვენა გარემარბმა დანელიძემ ძელს მთავრად ბურთი, ხოლო ცოტა ხანში მენაბდემ (№ 9) სულ ახლო მანძილიდან დაკარგა ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა.

შემდგომში მეკარე კვსხვაძის ორი შეცდომა ორ გოლად დაუჯდა სტუმრებს (ბურთები გაიტანეს მელაშვილმა და ხუნდაძემ), ხოლო ტაიშის დასასრულს საბასუხო ბურთი გაიტანა მენაბდემ — 1:2.

შესვენების შემდეგ ლეკავამ და შელაშვილმა კიდევ 3 ბურთი გაიტანეს და მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:1.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდისა და აფხაზეთის ნაკრების მატჩში უპირატესობა აშკარად თბილისელთა მხარეს იყო. ისინი თამაშობდნენ შეწყობილად, მაღალ ტემპში და მეტად კარგბეულად. უკვე ტაიშის დასაწყისში ტაბუცაძემ და ბერიძემ გაიტანეს ორი გოლი და ეს ანგარიში შენარჩუნებულ იქნა შესვენებამდე.

თბილისელებს ინიციატივა ჰქონდათ მეორე ტაიშშიც. ცაგარეიშვილის მიერ დაწყებული სწრაფი კომბინაცია ძლიერი დარტყმით დამთავრა ტაბუცაძემ და რესპუბლიკის ჩემპიონმა გამარჯვებულმა დატოვა მინდორი — 3:0.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მემქმნელობითი სესიის

28 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოს სსრ ბუნების დაცვა; 2. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარება; მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ეს ორი საკითხი სესიაზე განსახილველად შეიტანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. 3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა აღქმაცხება. საკითხი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია შეიკრიბა იმ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებულია იმ ისტორიული დოკუმენტებით, რომლებიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მზად არიან თავდადებული შრომით განახორციელონ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია

ლია კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ახსნა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის პირველ საკითხზე, — საქართველოს სსრ ბუნების დაცვა, — მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა.

ამს. გ. დ. ჯავახიშვილი დაწვრილებით დაამარჯვებულ ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და უოველი ღონისძიებით გადიდების ამოცანებზე, ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის დაცვა, — აღნიშნავს მომხსენებელი, — და მისი სწორი გამოყენება წარმოადგენს იმ დიდი ამოცანების განხორციელების საწინდარს, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შვიდწლიანი გეგმით.

თანამოხსენება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. ვ. ლურშიძემ. შემდეგ გაიმართა კამათი.

მეორე საკითხზე, — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების

შემდგომი განვითარების, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების შესახებ, — მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ი. ქადაგიძემ. ამ საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ი. რ. ხვედელიანი. კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სესიის განსახილველად წარმოდგენილი ეს საკითხი დროული და აქტუალურია. სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი შვიდწლიანი საკონტროლო ციფრების პროექტში დასახულია შემდგომ გადიდდეს საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წონა ტვირთიძვისა და მგზავრთა გადაყვანაში. ეს მოთხოვნა განუხრელად გაფართოვდეს საგზაო მშენებლობა და ძირეულად გაუმჯობესდეს საავტომობილო გზების შეკეთება და მოვლა. შენახვა, დეპუტატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენ-

ტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დეპუტატ ვ. პ. შუაგანაძის სიტყვა, რომელიც მიქმდნა ჩვენი რესპუბლიკის ბუნების დაცვის, გზების გაუმჯობესების ამოცანებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭომ მიიღო დადგენილება ქარსაცავი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში. სესიამ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების შემდგომი განვითარებისა და მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სესიამ განიხილა დღის წესრიგის შემდეგი საკითხი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა აღქმაცხება. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ვ. გელდაშვილმა.

ამით საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია დასრულდა ცხადდება.



თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში დაინერგა შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემა, რომლის არსი მდგომარეობს ფიზკულტურულ კოლექტივებში და მათს შორის შეჯიბრებათა სისტემატური, უწყვეტი რეალის შექმნაში. ერთი წელი საკმაოდ პერიოდი იმის გამოსარკვევად, თუ რა დადებითი ან უარყოფითი შედეგები მოჰყვა პირველ ნაბიჯებს, რომლებიც ამ მიმართებით გადაიდგა.

სწორედ ამ მიზნით ვიწყებთ ახალციხის და ფიზკულტურის კომიტეტის ოთახის კარი შევღებთ. შევიტყვებ, თუ როგორ შეეგუა ახალი სისტემა ახალციხისა და მისი რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებას, კომიტეტის თავმჯდომარემ მ. იაქიმ გვიპასუხა:

— რასაკვირველია, ამ სისტემამ ბევრი კარგი რამ მოგვტანა, — და ღიმილით დაუმატა, — ბევრი სიძნელეც გადაგვედგა წინ, მაგრამ ზეპირად ლაპარაკს ჯობია კვალდაკვალ მივყვეთ ჩვენი ფიზკულტურული ცხოვრების პრაქტიკას, აქ ჩატარებულ ღონისძიებებს და მათი მიხედვით ავწონ-დავწონოთ ავიც და კარგიც, ის, რაც ჩვენ გვალბნებს თუ გვახარებს.

და ჩვენც დავიწყეთ „მოგზაურობა“ კომიტეტის კალენდარულ გეგმებში და ჩატარებულ ღონისძიებათა ოქმებში, ფიზკულტურულ კოლექტივებში და სპორტულ ბაზებზე. ვსაუბრობთ, ვთვლით, ვეცნობით, ვკამათობთ... და ყოველივე ამის შედეგად შექმნილი სურათი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ: შეჯიბრებათა ჩატარების ახალმა სისტემამ, ახალმა მოთხოვნებმა უთუოდ მეტი გამოცოცხლება, დაინტერესება და სტიმული შეიტანეს მათს მუშაობაში. როგორც არ უნდა იყოს საერთო სიძნელების, ცალკეული ხარვეზებისა და ზოგჯერ სრული ჩავარდნის ფონი, ეს კეთილისმყოფელი სიხალე ამყარა.

მივმართოთ ფაქტებს: შეჯიბრების ახალი სისტემის შემოღებამ, მთელი წლის განმავლობაში მათი უწყვეტობის მითხრობამ ახალციხელი მოქიდავეები, რომლებიც ქართულ ჭიდაობას მისდევენ, დიდხანს მოაქცია სხვადასხვა პირველობათა ორბიტაში, დიდხანს ამყოფა შეჯიბრებებისათვის მზადებისა და მათში მონაწილეობის პროცესში და ამით ყოველ მთვანის საუკეთესო სპორტული ფორმა შეუნარჩუნა. სხვადასხვა დროს აქ ჩატარდა ქართულ ჭიდაობაში „კოლმეურნის“ პირველობა, 9 სოფლის კოლმეურნეთა შეჯიბრება, ქალაქისა და რაიონის პირად-გუნდური პირველობები. შეჯიბრებათა ასეთივე უწყვეტი ჭაჭიე ჰქონდათ ფრენბურთელებს. ისინი თითქმის მთელი წლის განმავლობაში გამოდიოდნენ ჯერ რაიონის ზამთრის პირველობაზე,

ძირეული კოლექტივების პირველობაზე, რომელიც თვეზე მეტს გრძელდებოდა, შემდეგ — „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ კოლექტივთა შორის უძლიერესის გამოვლენისათვის გამართულ შეჯიბრებებში და ბოლოს — რაიონის ზაფხულის პირველობაზე.

ახალციხელი ტანმოვარჯიშეები მონაწილეობას იღებდნენ მონაწილეობას პირად-გუნდურ, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეთა შორის, რაიონის პირად-გუნდურ საგზაფხულო პირველობაზე, რაიონისა და ქალაქის პირად-გუნდურ საშემოდგომო შეჯიბრებებზე. იგივე ოქმის მძლავრებზე, განსაკუთრებით კროსმენებზე, რომლებსაც მრავალ შეჯიბრებაში მოუხდათ მონაწილეობის მიღება.

წრიულ სისტემაზე გადავიდა ახალციხის რაიონის ფეხბურთელებსა და მათს შორის იგი მარტივად გრძელდება და ყოველდღიურ მზადყოფნაში ჰყავს სპორტსმენებიც. ამას გარდა, რაიონში ჩატარდა თანის გათამაშება, აქაურმა ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს საკავშირო თანის გათამაშებაში ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის, ხოლო „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ პირველობები ახლაც გრძელდება. საშხტო დაბა ვალეში, ყოველ შაბტს საფეხბურთო გუნდი ჰყავს და მათ შორისაც მიმდინარეობს სისტემატური, ხანგრძლივი ასპარეზობა.

შეჯიბრების ტურებად გამართვაზე გადავიდნენ მოჭადრაკეები. იანვრიდან ნოემბრამდე იმართებოდა ძალისანთა შეხვედრებიც.

როგორც ვხედავთ, ახალმა სისტემამ მეტად ტევად და გაიცოცხლებით სისტემატური ხასიათის მუშაობა შეიტანა ახალციხის ფიზკულტურულ ცხოვრებაში და მას თვალსაჩინო შედეგებაც მოჰყვა. ასე მაგალითად, ქართულ ჭიდაობაში მომეცადინეთა რიცხობრივი ზრდისა და მათი სპორტული დაოსტატების გარდა, საჭირო გახდა მწვრთნელებისა და მსაჯთა გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე აქამდე იყო. ამიტომ მოეწყო აპეციალური სემინარები, რომლებზეც ადგილობრივი 15 კალენდარიული მსაჯი მომზადდა. სექციური მუშაობა ახალმა სისტემამ სხვაგანაც გამოაცოცხლა: გაიზარდა ტანვარჯიშის მწვრთნელთა რიცხვი, მეორე თანრიგზე ჩააბარა ექვსმა სპორტსმენმა, მძლეოსნობამ წელს უფრო მძლავრად გადადგო ფეხი ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. მომზადდა 2 პირველთანრიგოსანი, 17 მეორეთანრიგოსანი, 118 მესამეთანრიგოსანი და 36 მონაწილეთა თანრიგოსანი სპორტსმენი. უთუოდ ეს მასობრიობა იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ახალციხის მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდმა საქართველოს პირველობაზე საბატო IV ადგილი დაიკავა. ამავე მიზეზით დაბა ვალეს შახტი № 1 ფეხბურ-

თელთა გუნდი წარმატებით მონაწილეობს საქართველოს პირველობაში II ჯგუფში. ძალისანთა სექციებში წელს ორმა სპორტსმენმა უჩვენა პირველი თანრიგის შედეგი, ექვსმა — მეორე თანრიგისა, სროლაში 15-მა კაცმა შეასრულა III თანრიგის ნორმატივი.

მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად საჭიროა აღინიშნოს ის უბუნებიც, სადაც ახალციხელმა სპორტსმენებმა, ფიზკულტურულმა მუშაობამ ფეხი ვერ აუწყვეს ახალ სისტემას.

დავიწყეთ იგივე ცალკეულ-სახეობათა მიხედვით. კალათბურთში ამას წინათ რაიონი ვაკოვანთა გუნდმა რესპუბლიკურ პირველობაზე II ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და გაისად პირველ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მიიპოვა. მაგრამ, ამ უკანასკნელ ზანს გუნდს დაქვეითების ნიშნები დაეკუთვნა. ამას აქ ენთუზიასტი მწვრთნელის ჯ. ნატრიაშვილის ახალციხიდან წასვლით ხსნიან. მაგრამ საქმე ერთეულად ამიანებში როდია, არამედ სპორტული მოძრაობის მასობრიობაში და იმაშიც, რომ სისტემატური წვრთნისა და თამაშის პირობებში სპორტსმენებმა კარგი მომზადება შეინარჩუნონ მუდმივად, რასაც ითვალისწინებს შეჯიბრებათა ახალი სისტემა. აქაური კალათბურთელები რომ მას გაყოლოდნენ, გუნდს ჩამორჩენის ნიშნებიც არ დაეკუთვნებოდა. კალენდარი გათვალისწინებული პირველობა ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ჩატარეს მხოლოდ სკოლებმა, ხოლო სხვა დაწესებულებებმა ვერ უზრუნველყვეს გუნდების წარმოდგენა. პირველობები ჩაეშალა „კოლმეურნის“, „განთიადის“, ხოლო ქალაქის კალათბურთელთა პირველობა მხოლოდ ერთხელ ჩატარდა შექმნილ ვადებში, ტურებისა და წრიული სისტემის გამოუყენებლად. ყოველივე ამან, ცხადია, შეასუსტა მასობრიობაც და უკვე ჩამოყალიბებულ სპორტსმენთა დაოსტატების ღონეც.

ჩვენ კალათბურთზე ასე იმითმ შევეჩვიდით, რომ მისი ჩამორჩენის მიზეზები ტიპური ბევრი სხვა სახეობისთვისაც: ახალი სისტემით შეჯიბრებათა ჩატარებას ფეხი ვერ აუწყვეს კრივის, თავისუფალი და აღსაკუთრი ჭიდაობის, ველსპორტის სექციებმა; და ამის გამო მათი შედეგებიც დაბალია.

ახალი სისტემის უპირატესობაზე კარგად მიუთითებს ადგილობრივ ფიზკულტურულ მუშაობა ერთწლიური გამოცდილებით ნაჩვენავი სიტყვები:

— იქ, სადაც მოხერხდა შეჯიბრებათა ტურებად ჩატარება, მათი ვახანგრძლივება, წელს მომზადდნენ თანრიგოსანი, რამდენიც არასოდეს. ეს ამის შედეგია, რომ სრულწლიური დატვირთვა სპორტსმენებს უნარჩუნებს საუკეთესო ფორმას და მათი შედეგებიც განუ-

ხრელად იზრდება. ახალმა სისტემამ თვალსაჩინოდ ამოქმედა სექციები, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი. მათ წელს ჩატარეს გაცილებით მეტი შეჯიბრება, ვიდრე წინა წლებში და მათი დიდი ნაწილი — ძირეულ კოლექტივებში. ამის შედეგად გაიზარდა ფიზკულტურელთა რიცხვიც, მარტო „კოლმეურნის“ წელს 200 ფიზკულტურელი შეემატა, მაგრამ ახალმა სისტემამ მეტად მწვავე და ძნელად გადასაჭრელი პრობლემებიც წამოჭრა. ესაა: ბაზების სიმცირე, საზოგადოებრივი აქტივის შემოკრებასთან დაკავშირებული უამრავი თავსატეხი ამბები, რომელთა მოგვარების გარეშე შეჯიბრებათა ახლებურად ჩატარების უზრუნველყოფაზე ფიქრიც კი ზედმეტია, აგრეთვე ზოგიერთ დაწესებულებაში და კოლმეურნობათა ხელმძღვანელობის უგუნდო-უბრუნო დამოკიდებულება ფიზკულტურული მოძრაობისადმი და მრავალი სხვა.

შემოწმების შედეგად ჩვენ ამ ფაქტორების კონკრეტულ გამოვლინებებსაც ვწაყუდით: ახალციხის სტადიონი ეკოლომუწყობულია და მისი მძლეოსნური სექტორები მეტად პრიმიტიული; არ არსებობს კალათბურთისა და ფრენბურთის რამდენიმე მაინც სრულყოფილი დარბაზი, რის გამოც ზამთრის პერიოდში მუშაობა სუსტდება არა მარტო ამ სახეობებში, ასევე პირობებში შეჯიბრებათა განაგრძობაზე ჩატარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია. ახალციხელ სპორტსმენთა აქტიური მონაწილეობით ამას წინათ აქ შეიქმნა კარგა საწყლოსნო აუზი საბატო კოშკით. მაგრამ რა ფასი აქვს მას, როცა სათანადო დაწესებულებების მოუქმელი მუშაობის გამო მოქველებული წყლის გამოცვლას აუზში არანაკლებ 15 დღე უნდება, ზოგჯერ კი იგი თვეობითაც იდგება უწყობის გამო. ზოგიერთი კოლმეურნობის თავმჯდომარეთა უგუნდო-უბრუნო შედეგად ხშირად იშლება შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებში.

ახალმა სისტემამ მართლაც რთული ამოცანები წამოჭრა. იგი მეტად შრომატევადია, მოითხოვს მრავალმხრივი მუშაობის უნარს, ადგილობრივი მწვრთნელებისა და მსაჯთა დიდძალი კონტრინგენტის შექმნას, ბაზებისა და ინვენტარის სიუხვეს. ყველაფერი ეს ქმნის სირთულეთა ისეთ სისტემას, რომელსაც, ცხადია, ერთი ხელის დაკრით არ ეშველება. საჭიროა გულდასმითი, მოთმინებითი მუშაობა, რათ: ცალკეულ, წარმატებებში განუხრელად ემართოს ერთმანეთს და სულ უფრო შემცირდეს ხარვეზების რიცხვი.

ახალმა სისტემამ წლობით უნდა გაიღვას ფესვები და მაშინ იგი მეტ წარმატებას მოგვტანს.

**უ ჯალადი,**  
ჩვენი სპეც. კორ.

ერთ თვეს გრძელდებოდა საქალაქო პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის, საშუალო სკოლების, ხე-ტყის კომბინატისა და „სპარტაკის“ გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა.

სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მოჭადრაკეთა პირველობაზე მონაწილეობდა 20 სტუდენტი. პირველი ადგილი დაიკავა ფიზკომბინატის ფაქულტეტის სტუდენტმა კ. კოჩიევმა.

**3. მელაქოვი**

**ლაგოდანი**


ლაგოდანის რაიონს ამას წინათ სტუმრად ვუვიცენ თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებმაც ადგილობრივ სპორტსმენებთან ჩატარეს შეჯიბრება ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთისა და ჩოგბურთში. ფეხბურთში გაიმარჯვეს თელაველებმა — 3:1. ფრენბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ლაგოდნელთა მოგებით. კალათბურთში სტუმრებმა გაიმარჯვეს, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეხვედრებში.

**4. ბაბაური**

**გურჯაანი**

ამას წინათ დამთავრდა რაიონის სოფლის სპორტსმენთა შეჯიბრება ტყვიით სროლაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მუკუხენელებმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ველისციხისა და ვეჯინის კოლმეურნობათა გუნდები. პირად პირველობაზე ყველას აჯობეს ვ. სხირტლაძემ (მუკუხენი) და ვეჯინელმა კოლმეურნემ ვ. რიკაძემ.

**5. სირბილავშილი**



**დედაქალაქში უძლიერესის სახელობისათვის**

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობის II ტური თავისუფალ ჭიდაობაში. უმატეს წონაში მეტად საინტერესო იყო ჭაბუკთა საკავშირო პირველობის პრიზიორების ა. კუჭაძისა და ჯ. ძნელაძის ორთაბრძოლა. 12 წუთის განმავლობაში კუჭაძემ შეძლო ერთი ქულის მოგება და შეხვედრა თავის სა-

სარგებლოდ დამთავრა. იგი მეორე ადგილზეა. ამ წონაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ი. ვალიშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი). კვლავ მაღალ დონეზე ჩატარდა შეხვედრები მხატვ წონაში სპორტის ოსტატმა ლ. ძაგანიაშვილმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც მოიპოვა თბილისის ჩემპიონობა. მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი ქვემსუბუქ წონაში. აქ გამარჯვებისათვის იბრძოდა 27 სპორტსმენი. მართალია, ავადმყოფობის გამო ხალიჩაზე ვერ გამოვიდა 1 ტურში გამარჯვებული ზ. ძიძიკაშვილი

(„ბურვესტნიკი“), მაგრამ მისმა თანაგუნდელმა, სპორტის ოსტატმა ვ. რუბაშვილმა შეძლო პირველი ადგილის დაკავება. უნეტარესო იყო მსუბუქი წონის მოქიდავეთა შეხვედრები. აქ პირველ ადგილს დაეპატრონა ა. ჩანტლაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი). სამაგიეროდ, საერთო მოწონება დაიმსახურა ქვესაშუალო წონაში ახალგაზრდა დინამოელ ლ. შენგელას გამოსვლამ. რგი ყველა შეხვედრას ატარებდა მაღალ ტემპში და ღირსეულად იგახდა ქალაქის ჩემპიონი.

საშუალო წონაში გამარჯვებული სპორტის ოსტატი ჯ. დავლი-

ნიძე მაყურებლებმა აშკარად მსაჯის ფორმაში ახილეს. ასეთი კონკურენტის გარეშე სპარტაკელმა კ. ვართანოვმა ადვილად დაიკავა გზა პირველი ადგილისაკენ. მომდევნო წონებში გამარჯვებულები გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი ა. ზურაბაული და ანდუტარეული ტექნიკუმის წარმომადგენელი გ. ხაჩიძე.


ორი ტურის შემდეგ გუნდური შეჯიბრების შედეგები ასეთია: I. ფიზკულტურის ინსტიტუტი, II. ინდუსტრიული ტექნიკუმი, III. „დინამო“.

**6. ხაბრბოვილი**



ეს ესკიზები წარმოდგენილია ჩვენი გაზეთის მიერ საქართველოს II სპარტაკადის სამკერდე ნიშანზე გამოცხადებულ კონკურსზე.





ანტიფაშისტი სპორტსმენი-მოქიდავის ვერნერ ზეელენბინდერისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიზრებაზე ბერლინში უძლიერესი სახე-ლი ქვემძიმე წონაში დაიმსახურა ქართველმა ფალავანმა რ. აბაშიძემ.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინანსური გალანსი

როგორც ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინანსური კომისია იუწყება, საორგანიზაციო კომიტეტმა თამაშებიდან მიიღო 6 მილიონამდე კრონი სუფთა მოგება. აქედან 1.250.000 კრონი გადაეცა შვეიცის ფეხბურთის ფედერაციას, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორს და 400 ათასი კრონი დამატებით, როგორც მეორე ადგილზე გამოსულ ქვეყანას, ე. ი. სულ 1.650 ათასი კრონი.

მთელი დარჩენილი თანხა, დაახლოებით 2.210 ათასი კრონი თანაბრად გაუნაწილა შვეიცის ფინანსური ტურნირის მონაწილე ყველა ქვეყანას.

მედიოსანთა მკროვის ფელეკაციის სესიაზე

ბარსელონაში გაიმართა ევროპის მედიოსანთა ფედერაციის სესია, რომელზეც განხილულ იქნა მთელი რიგი საინტერესო სა-

ამ დღეებში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა ქალაქის ძირეული კოლექტივების პირველობის მეორე ტური მძლეოსნობაში.

საინტერესოდ ჩატარდა წინასწარი გარბენი 100 მეტრზე, სადაც საუკეთესო დრო ჰქონდა სპარტაკელ ვ. ლომთაძეს — 10,7, 10,8 წამი უჩვენეს ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა ნ. კლიუემა და ზ. ჯარაშენელმა, ხოლო

აჯობა ჯ. კონრადსმა (14 მსოფლიო რეკორდი). 6 რეკორდის მფლობელია ტ. გვიტერკოულია. ჯ. მონკონს დაუმტკიცეს 4 მსოფლიო რეკორდი, ხოლო ბ. იულკინსონის გვარს რეკორდების ცხრილში ვხვდებით ერთხელ.

ავსტრალიელ ქალთა იმ 18 მსოფლიო რეკორდიდან, რომლებიც ფინანსური კონგრესმა დაამტკიცა, ყველაზე მეტი ეკუთვნის ოლიმპიურ ჩემპიონს დ. ფრებერსა და ი. კონრადს.

მორიზ კონგრესზე

ამას წინათ ვენაში გაიმართა ტურის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც თავის სტადიონზე დამტკიცა 67 ახალი მსოფლიო რეკორდი. მათ შორის 35 ეკუთვნის ქალებს.

აღსანიშნავია, რომ ახლად დამტკიცებული რეკორდებიდან თითქმის ორი მესამედი ეკუთვნის ავსტრალიელებს, რომლებმაც 43 შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდების ცხრილში. ზემოთმოყვანილ ციფრიდან 25 ეკუთვნის ევროპელებს. მათ შორის ყველას

წინააღმდეგობა ა. ბელუტიმ, რომელმაც 10,7 წამი მოახლოა. მონაწილეები იყვნენ, ჯარაშენელი, ვ. კლიუე, ვ. ჯარაშენელი, ვ. კლიუე, ვ. ჯარაშენელი, ვ. კლიუე.

ქალთა შორის იგივე დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიბრძინა ფიჭულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ოვიციანმა — 12,3.

თარჯუნენი 80 მეტრზე მოიგო რესპუბლიკის რეკორდსმენმა რ. ქოლაძემ — 11,4. წინასწარ გარბენში მან აჩვენა 11,2 წამი, რაც სპორტის ისტატის ნორმას უდრის.

პირველი თანრიგის შედეგები უჩვენეს აგრეთვე: სამხტომში — ლ. დარაბელიძემ (ფიჭულტურის ინსტიტუტი) — 14 მ 81 სმ, სიმალეზე ხტომაში — გ. გორბაჩოვმა (ფიჭულტურის ინსტიტუტი) — 190 სმ, 110 მ თარჯუნენში — გ. გვინიძემ (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 15,1, ჭოკით ხტომაში — გ. ვენცავერმა (ფიჭულტურის ინსტიტუტი) — 4 მ.

ბირთვის კვრაში წარმატებით გამოვიდა ფიჭულტურის ინსტიტუტის პირველკურსელი ო. გოშაძე, რომლის შედეგია 15 მეტრი. შეჯიზრების მსვლელობაში დამარცხდნენ იქნა ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდი, რომელთაგან ერთის ავტორია ბ. თალბანოვი (ფიჭულტურის ინსტიტუტი), მან ურო ტყორცნა 56,98 მეტრზე, ხოლო მეორისა — ნ. სერგევი, რომელმაც საათში 18 კმ და 265 მ გაიბრძინა.

ორი ტურის შედეგების მიხედვით გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ფიჭულტურის ინსტიტუტის მძლეოსნებმა. მეორე ადგილზეა „ვანთაილი“, მესამეზე — „სპარტაკი“.

ორგანიზაციული თვალსაზრისით შეჯიზრება მეტად დაბალ დონეზე იდგა, რაც ძირითადად მსაჯთა მცირე რიცხოვნობით იყო გამოწვეული.

ლ. თუხუივილი

რედაქტორი ი. შუშუაძე.

კიოხები. სესიამ დაამტკიცა ევროპის ახალი რეკორდები შემდეგ სახეობებში. ვაჟები: 100 იარდი — პარი (გფრ) — 9,5, 440 იარდი — სოლსბერი (ინგლისი) — 47,2 და სამსენი (ინგლისი) — 46,8, 800 იარდი — ჰიუსონი (ინგლისი) — 1.47,8, 1.000 მ ვერნი (შვეიცია) — 2.18,1. ჭოკი — რუბანისი (საბერძენეთი) — 4,60 მ, ესტაფეტები 4x100 მ. — გფრ — 39,5, 4x100 იარდი — ინგლისი — 40,9 და 40,7 და 4x400 იარდი — ინგლისი — 30.09,6.

ქალები. 100 იარდი — პოლი (ინგლისი) — 10,7, ინგი (ინგლისი) — 10,7 და 10,6. შუბი — ზატოპკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 56,02. როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენმა ბ. ზალაგაიტინმა თბილისში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი შუბის ტყორ-



უხსოვითი იუმორი

უსიტყვოდ... ნახატი ამოღებულია უურნალ „ბერლინერ ილუსტრირტედან“.

საფეხბურთო ჩემპიონატები

ინგლისი

ინგლისის პირველობაზე წარმატებით გამოდიან ლონდონის „არსენალი“, „ველფერბერტონ უონდერერსი“, „პრეტონი“ და „ბოლტონ უონდერერსი“.

მე-17 ტურში „არსენალი“ დაამარცხა „ნოტინგემ ფორესტი“ — 3:1, „ბოლტონმა“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 6:3, „ველფერბერტონმა“ — „ბერლი“ — 2:0, „პრეტონმა“ — „პორტსმუტი“ — 3:1.

გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა „არსენალი“ — 23 ქულა. შემდეგ მოდიან „ველფერბერტონი“ და „პრეტონი“ — 22

ქულა თვითუღს, „ბოლტონი“ — 21 ქულა, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — 20 ქულა და ა. შ.

იუგოსლავია

ათი ტურის შემდეგ იუგოსლავიის საშემოდგომო ჩემპიონატს ლიდერობს „ცრენა ზეზლა“, რომელმაც დააგროვა 16 ქულა. უკანასკნელი, მეთერთმეტე ტურის მიუხედავად ამ გუნდმა უკვე გაინაღდა საშემოდგომო ჩემპიონატში პირველი ადგილი. მეორე და მესამე ადგილებზეა „დინამო“ — 13 ქულა, „ვიოვიდინა“ — 12 ქულა. 10-10 ქულა აქვთ „რადნიჩის“, „რეივას“, „ველეს“ და „ხაილუკს“.

იტალია

მერვე ტურის შეხვედრებიდან

უურადლების ღირსია „მილანის“ გამარჯვება „იუვენტუსზე“ — 5:4, „სამპდორიასი“ — „გენუაზე“ — 2:1, „ნეპოლისა“ — „რომაზე“ — 3:0, „პადოვამ“ და „ფიორენტინამ“ ითანაშეს ფრედ — 1:1. იტალიის ჩემპიონატს ლიდერობენ „ფიორენტინა“ და „მილანი“ — 12-12 ქულა.

ესპანეთი

ჩემპიონატში გათამაშდა 10 ტური. მადრიდის „ატლეტიკომ“ მეთექვრმე ტურში დაამარცხა „ვიგო“ — 1:0. მადრიდის „რეალმა“ მოუგო „ვალენსიას“ — 3:0. ბილბაოს „ატლეტიკომ“ — „გრენადას“ — 3:0.

გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეა „რეალი“ — 18 ქულა, „ბარსელონა“ აქვს — 16 ქულა. „ბეტის“, მადრიდსა და ბილბაოს

„ატლეტიკოს“ — 13-13 ქულა თვითუღს.

ბრაზილია

აქ როგორც ცნობილია, არ თამაშდება ქვეყნის პირველობა. ეწყობა მხოლოდ სამხრეთის (სან-პაულოს) და ჩრდილოეთის (რიოდენუანიეროს) ჯგუფების ჩემპიონატები. სან-პაულოს ჯგუფში პირველ ადგილზე მიდის „სანტონი“ — 49 ქულა, შემდეგ არიან „სან-პაულო“ — 48 ქულა, „კრისტანსი“ — 46 ქულა, „პალმეირასი“ — 40 ქულა, „ნოროესტე“ — 39 ქულა და ა. შ.

რიოდენუანიეროს ჯგუფში გათამაშების ლიდერია „ვასკო და გამა“ — 29 ქულა, „ბოტაფოგოს“, „ამერიკას“ და „ფლუმინენსეს“ — 27-27, „პორტუგუზას“ — 20.

1959 წლის საკავშირო პირველობა. „დინამო“ (თბილისი), „გურკვესტნიკი“ (თბილისი), მატჩი ჩატარდება 3. ი. ლანდის სახელობის დარბაზში. დასაწყისი 19 ს.